GÜRTİAD

ქართველ და თურქ ბიზნესმენთა ასოციაცია
GÜRCÜ VE TÜRK İŞADAMLARI DERNEĞİ

HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ

კვირის ეკონომიკური გამოცემა

2020 / 06 – 13 Mart / მარტი

Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon / ინფლაცია
3 723.5	4 722.0	4.8 %	11.6 %	6.4 %

Corona Virüs
კორონა ვირუსი

Bildiğiniz gibi, 11 Mart 2020 tarihinde Dünya Sağlık Örgütü, Corona virüsü Pandemi – Salgın olarak tanımladı. Corona virüs hakkında son istatistik verileri aşağıda bilginize sunarız:

შეგახსენებთ, რომ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ 2020 წლის 11 მარტს კორონა ვირუსი პანდემიად გამოაცხადა. აღნიშნულთან ერთად გთავაზობთ კორონა ვირუსის უახლეს მსოფლიო სტატისტიკას ქვეყნების მიხედვით:

Ülke ქვეყანა	Vaka ფაქტი	Ölüm გარდაცვალება	İyileşme გამოჯანმრთელება
Çin / ჩინეთი	80 814	3 177	64 131
İtalya / იტალია	15 113	1 016	1 258
İran / ირანი	10 075	429	3 276
G.Kore / ს.კორეა	7 979	71	510
İspanya / ესპანეთი	3 148	87	189
Fransa / საფრანგეთი	2 876	61	12
Almanya / გერმანია	2 750	6	25
ABD / აშშ	1 762	41	31
Gürcistan / საქართველო	24	0	0
Türkiye / თურქეთი	2	0	0
Total (Dünya) / სულ (მსოფლიო)	138 153	5 080 (3,67%)	70 714 (51,1%)

https://www.worldometers.info/coronavirus/#countries

İtalya'da virüsün yayılmasını durdurmak için alınan önlemler sıkılaştırıldı. Hükümet kararıyla ülkede marketler ve eczaneler hariç tüm kuruluşlar kapandı. Cumhurbaşkan Donald Trump Avrupa'dan (Schengen bölgesinden) ABD'ye girişini bir ay boyunca yasakladı. Bahsi geçen kısıtlama sadece yolcular için geçerlidir ve kargo/yük taşımakla ilgili değildir.

ვირუსის შეჩერების მიზნით გამკაცრებულია ზომები იტალიაში. მთავრობის გადაწყვეტილებით ქვეყანაში სურსათის მაღაზიების და აფთიაქების გარდა ყველა დაწესებულება დაიკეტა. პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ევროპიდან აშშ-ში შესვლა 1 თვით აკრძალა. აღნიშნული შეზღუდვა მხოლოდ მგზავრების შეშვებაზე ვრცელდება და ის ტვირთების გადატანას არ ზღუდავს.

Gürcistan Başbakanı Giorgi Gakharia, 2020 yılı 12 Mart tarihli hükümet toplantısında Corona Virüs nedeniyle, tüm devlet kurumlarının 24 saatlik çalışma rejimine geçtiğini açıkladı. Bununla beraber, kamu ve özel kurumlarına mümkün olduğu ölçüde uzaktan/elektronik çalışma sistemine geçmelerini önerdi.

2020 წლის 12 მარტს, საქართველოს პრემიერ მინისტრმა გიორგი გახარიამ, მთავრობის სხდომა გამართა. სხდომის დასაწყისში მან აღნიშნა, რომ გავრცელებული კორონა ვირუსის გამო მთავრობის ყველა ორგანო მუშაობის საგანგებო, 24 საათიან რეჟიმზე გადადის. აღნიშნულთან ერთად მან გასცა რეკომენდაცია, რომ სახელმწიფო და კერძო ინსტიტუტებმა შესაძლებლობის ფარგლებში დისტანციური რეჟიმით იმუშაონ.

Gürcistan Hükümetin kararıyla, Gürcistan’daki tüm okullarda (kreş, orta okul, üniversite) tatiller 1 Nisana kadar uzatıldı. Ayrıca, Gürcistan ordusunda askerlik kayıtları 13 Nisan'a kadar ertelendi. Bu aşamada Gürcistan’ın sınırı Çin, İran, Güney Kore ve İtalya ile kapalı ve Almanya, Fransa, Avusturya ve İspanya'dan Gürcistan’a gelen herkes 14 günlük zorunlu karantina rejimine tabi tutulacaktır.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებითვე 1-ელ აპრილამდე გადაიდო სასკოლო დაწესებულებებში სწავლა, ასევე 13 აპრილამდე გადავადდა საგაზაფხულო გაწვევა საქართველოს ჯარში. საქართველოს ამ ეტაპისთვის ჩაკეტილი აქვს საზღვარი ჩინეთთან, ირანთან, ს. კორეასა და იტალიასთან, ხოლო გერმანიიდან, საფრანგეთიდან, ავსტრიიდან და ესპანეთიდან საქართველოში შემოსული ყველა პირი სავალდებულო 14 დღიან საკარანტინო რეჟიმს გაივლის.

Bahsi geçen kısıtlamaların yanı sıra, hükümetin ekonomik grubu mevcut durumun ülke ekonomisi ve iş dünyası üzerindeki etkisinin mümkün olduğu kadar düşürebilmek için çalışmaya devam ediyor. Dünyadaki gelişmelerden dolayı, Gürcistan'a turistlerin akışı önemli ölçüde azaldı. Gürcistan’da faaliyet gösteren düzinelerce otel kapatıldı ve Gürcü Lari US Dolara karşı önemli ölçüde değer kaybetti.

AK YIL ZEMİN Ank Catering ARKAS GEORGIA LLC EM Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM Ziraat Bankası

აღნიშნული შეზღუდვების გარდა მთავრობა და მისი ეკონომიკური ჯგუფი აგრძელებს მუშაობას, რათა შექმნილმა მდგომარეობამ რაც შეიძლება ნაკლები გავლენა მოახდინოს ქვეყნის ეკონომიკაზე და ბიზნეს სექტორზე. მსოფლიოში არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე საგრძნობლად დაეცა საქართველოში ტურისტების ნაკადის მაჩვენებლები, უკვე დაიხურა ათობით სასტუმრო და საგრძნობლად დაეცა ლარის კურსი დოლართან მიმართებით.

Başbakan Giorgi Gakharia, hükümetin ekonomik grubuna iş teşvik planını geliştirmek üzere gerekli talimatlar verdi. Bununla beraber Başbakan iş dünyası temsilcileri ile bir araya geldi ve görüşlerini dinledi. Sonuç olarak, hükümet 4 ay boyunca otellere, restoranlara, turizm acentelere, nakliye ve tur/gezi şirketlerine mevcut emlak ve gelir vergileri erteledi. Bahsi geçen durumu göz önüne bulundurarak, Gürcistan Bankası (Bank of Georgia) ve TBC Banka, müşterilere kredi ödemeleri için 3 aylık imtiyaz süresini sağlayacaklar.

პრემიერ მინისტრმა გიორგი გახარიამ მთავრობის ეკონომიკურ ჯგუფს დაავალა ბიზნესის მასტიმულირებელი გეგმის შემუშავება. აღნიშნულთან ერთად მან შეხვედრა გამართა ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან და მოისმინა მათი შეხედულებები. შედეგად მთავრობამ სასტუმროებსა, რესტორნებს, ტურისტულ სააგენტოებს, სატრანსპორტო კომპანიებს და საექსკურსიო კომპანიებს ქონებისა და საშემოსავლო გადასახადი 4 თვით გადაუვადა. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე საქართველოს ბანკმა და თიბისი ბანკმა უკვე განაცხადეს, რომ ისინი მომხმარებლებს სესხების მომსახურებაზე 3 თვიან საშეღავათო პერიოდს გაუწევენ.

Gürcistan'da Doğrudan Yabancı Yatırım 2019
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2019 წელს



2019 yılında Gürcistan'da yapılan doğrudan yabancı yatırımın hacmi 1 267.7 milyon AB Dolar olmuş ve bu rakam bir önceki 2018 yılın verilerine göre sadece %0.2 daha fazladır. Yukarıda belirtilen yatırım hacminden 493,1 milyonu sermaye, 612,5 yeniden yatırım ve 162 borç yükümlülükleridir.

საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2019 წელს 1 267.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც მხოლოდ 0.2 პროცენტით არის მეტი 2018 წლის შესაბამის მაჩვენებელზე. აღნიშნული საინვესტიციო მოცულობიდან 493.1 მლნ არის სააქციო კაპიტალი, 612.5 რეინვესტიცია და 162 სავალო ვალდებულებები.

2019 yılı En Fazla Yatırım Yapan 10 ülkenin dağılım aşağıdaki gibidir:
2019 წელს 10 უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების სია შემდეგნაირად გამოიყურება:

Birleşik Krallık	247.8	გაერთიანებული სამეფო	19.5%
Türkiye	236.5	თურქეთი	18.7%
İrlanda	132.7	ირლანდია	10.5%
ABD	99.0	აშშ	
Panama	78.1	პანამა	
Hollanda	52.9	ნიდერლანდი	
Rusya	50.5	რუსეთი	
Çin	40.4	ჩინეთი	
Japonya	39.2	იაპონია	
Diğer Ülkeler	290.5	დანარჩენი ქვეყნები	

Yapılan yatırımların sektörel dağılım ise bunun gibidir: Finans Sektörü - 261.8 (20.6%); Enerji Sektörü - 193.9(15.3%); HoReCa - 157.5 (12.4); İnşaat - 118.5 (9.3%); İşlem Endüstrisi - 102.2 (8.1%); Maden Sektörü - 68.7 (5.4%); Telekomünikasyon - 45.4 (3.6%); Diğer Sektörler - 248.2 (19.6%).

განხორციელებული ინვესტიციების სექტორული განაწილება შემდეგნაირად გამოიყურება: საფინანსო სექტორი - 261.8 (20.6%); ენერგეტიკა - 193.9(15.3%); სასტუმროები და რესტორნები - 157.5 (12.4); მშენებლობა - 118.5 (9.3%); დამამუშავებელი მრეწველობა - 102.2 (8.1%); სამთო მოპოვებითი მრეწველობა - 68.7 (5.4%); კავშირგაბმულობა - 45.4 (3.6%); დანარჩენი სექტორები - 248.2 (19.6%).

Yasa Değişikliği
საკანონმდებლო ცვლილებები

Değerli üyelerimiz, ülkedeki mevcut yasal değişiklikler hakkında her iki dilde makale üyemiz "Nodia, Urumashvili & Partners" www.nplaw.ge şirket tarafından hazırlanmıştır. Derneğimiz "Nodia, Urumashvili & Partners" şirketine işbirliği içi yürekten teşekkür eder, hazırlanmış makalesini bilgilerinize sunarız.

ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორები
NODIA, URUMASHVILI & PARTNERS

ძვირფასო წევრებო, ქვეყანაში მიმდინარე საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებული ორენოვანი სტატია მოამზადა ასოციაციის წევრმა „ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორები" www.nplaw.ge ასოციაცია გულითად მადლობას უხდის თანამშრომლობისთვის კომპანიას „ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორები" და გთავაზობთ მომზადებულ მასალას.

09 Mart 2020 tarihinde Gürcistan Hükümeti tarafından izinsiz ve/veya projenin ihlaliyle inşaat edilmiş binaların veya bir kısmının yasal hale getirilmesi kuralları ve şartları, ayrıca 01 Ocak 2007 tarihine kadar başlanmış ama hala inşası tamamlanmamış binaların inşaat süresinin ve yasal hale getirilmesi kuralları ve şartları hakkında emir yayınlanmıştır. Ayrıca, bu kuralın onaylanmasına kadar başlanmış idari işler "Proje koordinesini yapan ve inşaat izinleri veren makamlar tarafından izinsiz ve/veya projenin ihlaliyle inşaat edilmiş binaların veya bir kısmının yasal hale getirilmesi kurallarına" göre tamamlanacaktır.
Söz konusu kuralın düzenlenmesi alanına bir açıklama ilave edilmiştir. Açıklamalara göre yeni kuralın geçerliliği aynı zamanda izinsiz ve/veya projenin ihlaliyle 01 Ocak 2007 tarihine kadar inşaat edilmiş (inşaatı tamamlanmış) ama 01 Ocak 2007 tarihinden sonra alanı ilave etmeden inşaatı tamamlanmış çok konutlu apartmanlar için de geçerlidir.
İşbu emir 10 Mart 2020 tarihinden yürürlüğe girecektir.

2020 წლის 9 მარტს საქართველოს მთავრობამ გამოსცა დადგენილება უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტის ან მისი ნაწილის ლეგალიზების წესისა და პირობების, აგრეთვე 2007 წლის 1 იანვრამდე დაწყებული და დაუმთავრებელი ობიექტის დასრულების ვადის და მისი ლეგალიზების წესისა და პირობების თაობაზე. ამასთან, ამ წესის დამტკიცებამდე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოებები დასრულდება „პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების წესი"-ის შესაბამისად.
აღნიშნული წესის რეგულირების სფეროს დაემატა შემდეგი ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც ახალი წესის მოქმედება დამატებით ვრცელდება უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით 2007 წლის 1 იანვრამდე აშენებულ (მშენებლობა დამთავრებულ) იმ მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებზეც, რომლებზეც 2007 წლის 1 იანვრის შემდეგ განხორციელდა სამშენებლო სამუშაოები ფართის მატების გარეშე.
აღნიშნული დადგენილება ძალაშია 2020 წლის 10 მარტიდან.

AK YIL ZEMİN · Ank Catering · ARKAS GEORGIA LLC · Ermed GEORGIA · İŞBANK · KOÇ · KABLO · LC WAIKIKI · ნაბახტარი · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · Ziraat Bankası

Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურსი (13.03.2020)

USD/GEL – 2.9494 TRY/GEL – 0.4731 EUR/GEL – 3.3145 GBP/GEL – 3.7575

USD/GEL

06 - 13 Mart 2020

USD/TRY

06 - 13 Mart 2020

TRY/GEL

06 - 13 Mart 2020

Uluslararası Reyting საერთაშორისო რეიტინგი	
İş Yapma Kolaylığı ბიზნესის კეთების სიმარტივე	№ 6
İş Başlama Kolaylığı ბიზნესის დაწყების სიმარტივე	№ 2
Kredi Alma Kolaylığı სესხის აღების სიმარტივე	№ 12
Küçük Yatırımcıların Koruması მცირე ინვესტორთა დაცულობა	№ 2
İnşaat İzinleri İle Mücadele სამშენებლო ნებართვის სიმარტივე	№ 27
Ekonomik Özgürlük Endeksi ეკონომიკური თავისუფლების ინდ.	№ 16
Rekabet Edebilirlik Endeksi კონკურენტუნარიანობის ინდექსი	№ 66